

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს მფლობელს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მარაგების დათვლის პროცესს. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგების ნაშთის რაოდენობის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია 1,506 ათას ლარისა და 1,391 ათას ლარის ოდენობით, შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირება აღრიცხული ან აღურიცხავი მარაგების ნაშთთან დაკავშირებით, და აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაბამისი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ნაწილის ისტორიულ ღირებულებასა, სასარგებლო მომსახურების ვადასა და ნარჩენ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია 27,360 ათას ლარისა და 16,325 ათას ლარის ოდენობით, შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირება აღრიცხული ან აღურიცხავი ძირითადი საშუალებების ნაშთთან დაკავშირებით, და აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

სხვა საკითხი

კომპანიამ არ აღრიცხა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) 9 - *ფინანსური ინსტრუმენტების* მიხედვით.

კომპანიამ არ წარადგინა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში რეზერვები და დაფინანსების და გადაფასების რეზერვის მუხლები სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნების მიხედვით.

კომპანიამ არ აღრიცხა ამონაგები პარკირების მომსახურებიდან ფასს 15 - *ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან* მიხედვით.

ჩვენ შეიძლება ყურადღება მიგვექცია სხვა საკითხებზეც, თუ შევძლებდით საკმარის და შესაფერის აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად, როგორც აღწერილია „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ს ნაწილში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის აუდიტებულ იქნა სხვა აუდიტორების მიერ რომელთაც გამოთქვეს უარყოფითი მოსაზრება იმ ანგარიშგებაზე 2020 წლის 27 აგვისტოს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია შედგება მმართველობითი ანგარიშგებისგან (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას მასზე).

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენს აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა რომ წავიკითხოთ მმართველობითი ანგარიშგება და ამით განვსაზღვროთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენს მიერ აუდიტში მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვანაირად ხომ არ არის არსებითად მცდარი.

დამატებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება რომ გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების ნაწილების შესახებ თუ რამდენად შეესაბამება ისინი შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენ ვასკვნით რომ მმართველობითი ანგარიშგებაში არსებითი შეცდომაა, ჩვენ მოგვეთხოვება აღნიშნული ფაქტის წარდგენა.

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- იმ წლის მმართველობითი ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგებაა მომზადებული, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვცეთ აუდიტორთა დასკვნა. თუმცა, იმ ფაქტორების გამო, რომლებიც განმარტებულია ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ს ნაწილში, ჩვენ არ შეგვეძლო მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

25 ივნისი 2021 წელი

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.


მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვცეთ აუდიტორთა დასკვნა. თუმცა, იმ ფაქტორების გამო, რომლებიც განმარტებულია ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ს ნაწილში, ჩვენ არ შეგვეძლო მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:



ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

25 ივნისი 2021 წელი

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	27,360	16,325
არამატერიალური აქტივები		1	2
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,361	16,327
მარაგები	14	1,506	1,391
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	722	588
სხვა გადასახადები გარდა მოგებისა		583	303
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	3,287	219
სულ მიმდინარე აქტივები		6,098	2,501
სულ აქტივები		33,459	18,828
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	50,526	37,289
აკუმულირებული ზარალი		(23,962)	(22,721)
რეზერვები და დაფინანსება		131	131
გადაფასების რეზერვი		2,886	3,634
სულ კაპიტალი		29,581	18,333
ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	18	3,319	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,319	-
გადავადებული შემოსავალი	18	116	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	443	495
სულ მიმდინარე ვალდებულებები		559	495
სულ ვალდებულებები		3,878	495
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		33,459	18,828

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10-38 გვერდებზე

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან	6	1,729	4,290
ამონაგები პარკირების მომსახურებიდან		433	575
სხვა შემოსავალი	7	284	222
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	8	(6,644)	(7,224)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,133)	(1,554)
ელექტროენერგია, მოხმარებული მასალები და ტექნიკური დახმარება	9	(645)	(1,260)
საწვავის ხარჯი		(2,044)	(3,979)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების კომპენსირება	15	-	406
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(372)	(808)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(200)	(303)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	11	8,088	8,913
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,504)	(722)
ფინანსური შემოსავალი		278	8
ფინანსური ხარჯი		(15)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი	12	263	8
ზარალი დაბეგვრამდე		(1,241)	(714)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი		(1,241)	(714)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 25 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

ლევან ლაზარიაშვილი

ელეონორა ნიკოლაშვილი


დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 25 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

მერაბი ართმელაძე

ფინანსური სამსახურის უფროსი



მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10-38 გვერდებზე

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები და დაფინანსება	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	37,293	131	4,390	(22,007)	19,807
სრული შემოსავალი					
წლის ზარალი	-	-		(714)	(714)
სხვა სრული შემოსავალი					
გადაფასების რეზერვის კლება	-	-	(756)	-	(756)
ოპერაციები მფლობელთან					
საწესდებო კაპიტალის კლება	(4)	-	-	-	(4)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის	37,289	131	3,634	(22,721)	18,333
მდგომარეობით					
სრული შემოსავალი					
წლის ზარალი	-	-	-	(1,241)	(1,241)
სხვა სრული შემოსავალი					
გადაფასების რეზერვის კლება	-	-	(748)	-	(748)
ოპერაციები მფლობელთან					
საწესდებო კაპიტალის ზრდა	13,237	-	-	-	13,237
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის	50,526	131	2,886	(23,962)	29,581
მდგომარეობით					

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10-38 გვერდებზე

'000 ლარი	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის ზარალი	(1,241)	(687)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,133	1,768
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების კომპენსირება	-	(406)
სხვა შემოსავალი	(30)	(630)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	104	-
საპროცენტო შემოსავალი	(113)	(8)
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	15	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	868	37
სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		
<i>ცვლილებები:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(134)	(62)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(115)	92
სავაჭრო და სხვა სახის ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება	(67)	178
საგადასახადო აქტივების (ზრდა)/შემცირება	(280)	25
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში	3,435	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი	3,707	270
სახსრები პროცენტის გადახდების მიღებამდე		
მიღებული პროცენტი	113	8
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი	3,820	278
სახსრები		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(752)	(122)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი	(752)	(122)
სახსრები		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი		
სახსრები	-	-
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	3,068	156
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	219	63
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,287	219

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10-38 გვერდებზე

სარჩევი

1. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ და მისი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძველი	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	13
4. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	13
5. სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში	14
6. ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან.....	19
7. სხვა შემოსავალი.....	19
8. თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები.....	19
9. ელექტროენერგია, მოხმარებული მასალები და ტექნიკური დახმარება	20
10. სხვა საოპერაციო ხარჯები	20
11. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	20
12. ფინანსური შემოსავალი	20
13. ძირითადი საშუალებები.....	21
14. მარაგები	22
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
16. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
17. საწესდებო კაპიტალი.....	23
18. გადავადებული შემოსავალი.....	23
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
20. ფინანსური ინსტრუმენტები	24
21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	27
22. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები.....	28
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	28
24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	28

1. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-სთვის („კომპანია“).

კომპანია დაარსდა 2004 წლის 30 სექტემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ 245445200) და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელია სსიპ „თვითმმართველი ქალაქი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი“ (ს/კ 245576826) ხოლო საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა. კომპანიას არ ყავს შვილობილი კომპანიები.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული და ძირითადი საოპერაციო ოფისის მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ., №13.

წარსადგენი ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგენილი ტარიფების შესაბამისად ავტობუსით ტრანსპორტით მომსახურება, ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში პარკირების ადგილების მოწყობა და ოპერირება, ასევე საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა; ვიდეოკამერების მოვლა-პატრონობა და შუქნიშნების განთავსება.

კომპანიის საოპერაციო გარემო. კომპანიის ძირითადი საქმიანობები ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილებების საგანია.

2020 წლის მარტში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19 პანდემია. პანდემიის შედეგების შეზღუდვის მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო შესაბამისი ზომები და შემოიღო ისეთი შეზღუდვები როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების და სხვა საქმიანობების შეზღუდვები. ამ ზომებს ნეგატიური გავლენა ქონდა ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის კომპანიის ოპერაციებზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შესაბამისი ნაბიჯები გადადგა კომპანიის ოპერაციებზე პანდემიის შედეგების მინიმიზაციისთვის. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, ხოლო საოპერაციო პერსონალმა გააგრძელა მუშაობა წესების დაცვით. შედეგად, გავლენა კომპანიის ოპერაციებზე მაინც დიდი იყო რადგან მკაცრი რეგულაციების გამო შეწყდა მგზავრთა გადაყვანა 2020 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 29 მაისამდე. კომპანიამ შეძლო აღედგინა ოპერაციების ჩვეული დონე წლის ზაფხულის განმავლობაში როდესაც რეგულაციები შემსუბუქდა. 2020 წლის 25 სექტემბრიდან 19 ოქტომბრამდე პანდემიური მდგომარეობის დამძიმების გამო კომპანიამ კვლავ შეწყვიტა მგზავრთა გადაყვანა. ოპერაციები განაახლა 2020 წლის 19 ოქტომბრიდან 28 ნოემბრამდე, ხოლო 2020 წლის 28 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით კვლავ შეაჩერა საქმიანობა. კომპანიამ მგზავრთა გადაყვანა განაახლა 2021 წლის 1 თებერვლიდან როგორც ეს ნაჩვენებია შენიშვნაში 23.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ გათვალისწინებული ყველა გარემოება რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ამ ეფექტს, არსებობის შემთხვევაში, რა გავლენა შეიძლება ქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ბასს-ის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს („ფასს“) და მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, ცვლილებით ფინანსური ინსტრუმენტებთან მიმართებაში მათი თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებით.

ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეულ კრიტიკულ შეფასებებს. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს რომ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები რომლებიც მოითხოვს მსჯელობების მაღალ დონეს და სირთულეს, ან საკითხები სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითაა ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებულია შენიშვნაში 3.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებათა დაფარვას. წინამდებარე შეფასებისათვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ განიცადა წმინდა ზარალი 1,241 ათასი და 714 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ზარალის დაგროვილი ოდენობა შეადგენდა 23,962 ათას და 22,721 ათას ლარს, შესაბამისად. ჩამოთვლილი გარემოებებისა და მოვლენების საფუძველზე შესაძლოა ექვეყნებოდა დამატებითი კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საკითხი.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე აქტივებმა, 6,098 ათასი ლარის ოდენობით, 559 ათასი ლარის ოდენობის მიმდინარე ვალდებულებებს გადააჭარბა 5,539 ათასი ლარით. მიმდინარე აქტივებში ფული და ფულის ეკვივალენტები შეადგენს 3,287 ათას ლარს.
- წარსულში კომპანიის საოპერაციო ზარალებს ანაზღაურებდა მთავრობა ფულადი და არაფულადი შენატანების სახით საოპერაციო საქმიანობის დაფინანსების მიზნით.
- 2020 წლის განმავლობაში ქალაქ ბათუმის მერიამ განახორციელა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანი ძირითადი საშუალებების სახით, საერთო ღირებულებით 13,237 ათასი ლარი.
- ქალაქ ბათუმის მერიის მიერ გამოჩენილი მხარდაჭერის და ქალაქისათვის კომპანიის საქმიანობის მნიშვნელობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობა თვლის, რომ მთავრობა კვლავ გააგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს კორექტირებებს, აღრიცხული აქტივების და ვალდებულებების ღირებულების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც კომპანიის საქმიანობის შეწყვეტისას შეიძლება გახდეს საჭირო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

4. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს და ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). რადგანაც ფასს 16 ძირითადად იწარჩუნებს ბასს 17-ში მოცემულ მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნებს, კომპანიას არ უღიარებია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე როგორც მეიჯარედ საქმიანობის მხრივ.

ქვემოთ მოცემული გადასინჯული სტანდარტები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისის შემდგომი შემენებისთვის რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ).
- არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საპროცენტო განაკვეთის საფუძვლის რეფორმა - ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში შეტანილი ცვლილებები (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- Covid-19-ან დაკავშირებული იჯარის კონცესიები – ცვლილებები ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

5. სიახლეები ბუღალტრულ აღრიცხვაში

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენებაც სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება კომპანიას არ დაუწყია.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა – ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ბასსს-ს მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან შემდგომ). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომლებიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია არ მოელის რომ ამ ცვლილებას რაიმე გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს და შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. ამის გამო, ინვესტორებისათვის რთული იყო მსგავსი საქმიანობების სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) მიმდინარე ღირებულების სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან დაკვირვების გზით; დამატებით (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებით (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). დამზღვევემა მოგება უნდა აღიაროს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებისთვის პერიოდულად, როდესაც მოხდება დაზღვევით უზრუნველყოფა და ისინი თავისუფალი იქნებიან რისკისგან. თუ კონტრაქტთა ჯგუფი წამგებიანი ხდება, საწარმო მაშინვე აღიარებს ზარალს. კომპანია არ მოელის რომ ამ ახალ სტანდარტზე გადასვლას რაიმე გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მიმდინარედ კლასიფიკაცია – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს მცირე ცვლილებები აზუსტებს თუ როგორ კლასიფიცირდება ვალდებულებები გრძელვადიანად ან მიმდინარედ, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ თუ პირობა დარღვეულია საანგარიშგებო თარიღისთვის ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან მიღებულია მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება

გრძელვადიანად თუ სესხის პირობა ირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. დამატებით, ცვლილებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის გადაფარვასაც კომპანია მის კაპიტალში შესაძლო გარდაქმნის გზით აპირებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირებული იყოს საკუთარ კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც კონვერტირების არჩევის უფლება კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. ამჟამად კომპანია აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მიმდინარედ კლასიფიკაცია, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ვალდებულებების გრძელვადიანად და მიმდინარედ კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილებები ბასს 1-ში გამოცემულ იქნა 2020 წლის იანვარში და თავდაპირველად ძალაში იყო 2022 წლის 1 იანვრიდან. თუმცა Covid-19 პანდემიის პასუხად, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლის რათა კომპანიებისთვის მიეცათ მეტი დრო შეცვლილი კლასიფიკაციის დასაწერად შეცვლილი მითითებების შესაბამისად. ამჟამად კომპანია აფასებს ამ ცვლილების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შემოსულობები დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე, წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - ბასს 16-ის, ბასს 37-ის და ფასს 3-ის მცირე ცვლილებები და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2018-2020 - ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების თვითღირებულებიდან გამოქვითოს საწარმოს მიერ აქტივის დანიშნულებისამებრ მოხმარებისთვის მომზადებისას გაწეული ხარჯი მისი გაყიდვიდან მიღებული შემოსულობით. მსგავსი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარდება მოგება ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, რადგან ის ჯერ მზად არ არის მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასებისთვის არარელევანტურია. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას. ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ სხვა ხარჯების მიკუთვნებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წაგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი. ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობით ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3-ის

გამოყენების მაგივრად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ელიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსავლის აღიარება, რომელიც არ გამოხატავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით. ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში. საილუსტრაციო მაგალითი 13, რომელიც თან ერთვოდა ფასს 16-ს, განახლდა რათა ამოღებული ყოფილიყო მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდებოდა საიჯარო ქონების გაუმჯობესებებს. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა. ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ წარდგენილი თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე სტანდარტის პირველად გამოყენებული საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით. მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. კომპანია არ მოელის რომ ეს ცვლილებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილებები ფასს 4-ში (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები მოიცავს რამდენიმე დაზუსტებას ფასს 17-ის დანერგვასთან დაკავშირებით, ამარტივებს სტანდარტის და მასზე გადასვლის გარკვეულ მოთხოვნებს. ცვლილებები ეხება ფასს 17-ის რვა საკითხს და მიზნად არ ისახავს სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლას. ფასს 17-ში შესულია შემდეგი ცვლილებები:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების მიღება) გადავადდა ორი წლით 2023 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიურ პერიოდებამდე; ხოლო დროებითი გამონაკლისების ფიქსირებული ვადა ფასს 9-ის ფასს 4-ში გამოყენების შესახებ გადავადდა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიურ პერიოდებამდე.
- **დაზღვევის შესაძენი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი კომპენსირება:** საწარმოს მოეთხოვება რომ შეძენის დანახარჯების ნაწილი გადაანაწილოს ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებებზე და ეს ხარჯები აღიაროს აქტივად მანამდე სანამ საწარმო აღიარებს ხელშეკრულების განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ რომ შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადობა თითოეული ანგარიშგების თარიღისათვის და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარადგინოს ინფორმაცია აქტივის შესახებ.

- *საინვესტიციო მომსახურებებზე მისაკუთვნილებელი სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა:* იდენტიფიცირებული უნდა იქნეს დაფარვის ერთეულები სარგებლის რაოდენობის და მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, სადაზღვევო დაფარვის და საინვესტიციო მომსახურებისთვის, ცვლადი ანაზღაურების ხელშეკრულებებისთვის და სხვა ხელშეკრულებებისთვის „ინვესტიციის უკუგების მომსახურებაზე“ ზოგადი მოდელით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აისახოს ფულად ნაკადებში სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, იმ დონემდე, სადამდეც საწარმო გასწევს ასეთ აქტივობებს და გააუმჯობესებს სადაზღვევო დაფარვის სარგებლებს პოლისის მფლობელებისთვის.
- *ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები - ზარალის კომპენსირება:* როდესაც საწარმო თავდაპირველი აღიარებისას აღიარებს ზარალს წაგებიანი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის ან ჯგუფისთვის დამატებითი წაგებიანი ხელშეკრულებების დამატებისას, საწარმომ უნდა დააკორექტიროს სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული გადაზღვევის ხელშეკრულებების ფლობილი ჯგუფისთვის და აღიაროს შემოსავალი ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. ზარალის ოდენობა რომელიც კომპენსირდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან განისაზღვრება სადაზღვევო ხელშეკრულების აღიარებული ზარალის და მოთხოვნის პროცენტულობის გამრავლებით, რომელს ანაზღაურებასაც საწარმო მოელის გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოყენებულ უნდა იქნეს როდესაც გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ზარალის აღიარებამდე ან იგივე დროს.
- *სხვა ცვლილებები:* სხვა ცვლილებები მოიცავს გამონაკლისებს საკრედიტო ბარათის (ან მსგავს) ხელშეკრულებებზე და სესხის ზოგ ხელშეკრულებაზე; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯგუფების მაგივრად პორტფელებში; რისკის მიტიგაციის ოფციონის გამოყენებას როდესაც ფინანსური რისკების მიტიგაცია იყენებს გადაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულების მოგება ან ზარალში ასახვით; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი წინასწარი შუალედური ფინანსური ანგარიშგების შეფასებების შეცვლისას როდესაც გამოიყენება ფასს 17; საშემოსავლო გადასახადის ჩათვლის გადახდები რომლებიც დარიცხვადია პოლისის მფლობელებზე დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ხელშეკრულების შესასრულებელ ფულად ნაკადებზე; და შერჩეული გადასვლის შემსუბუქებები და სხვა მცირე ცვლილებები. კომპანია არ მოელის რომ ეს ცვლილებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საპროცენტო განაკვეთის საფუძვლის (IBOR) რეფორმა - ფაზა 2 ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში შეტანილი ცვლილებების მეორე ფაზა (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის ცვლილებები აზუსტებს რეფორმების დანერგვის საკითხებს, მათ შორის ერთი საფუძვლის ალტერნატიულით ჩანაცვლებას. ეს ცვლილება ეხება შემდეგს:

- *IBOR რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების საფუძვლის ცვლილებების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის რომელთათვისაც ამორტიზებული თვითღირებულება გამოიყენება, ცვლილებები საწარმოებიდან მოითხოვს, როგორც პრაქტიკულადაა მიზანშეწონილი, რომ IBOR რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების საფუძვლის ცვლილება აღრიცხოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით ფასს 9-ს პარაგრაფ 5.4.5-ის მითითების საფუძველზე. შედეგად, მოგება ან ზარალი მაშინვე არ აღიარდება. ეს მიზანშეწონილი პრაქტიკა გამოიყენება მხოლოდ ასეთი ცვლილებისას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აუცილებელია როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად ეკვივალენტურია წინა საფუძველთან. მზღვევლები რომლებიც იყენებენ დროებით გამონაკლისს ფასს 9-დან, ასევე ვალდებული არიან რომ გამოიყენონ იგივე პრაქტიკა. ფასს 16 ასევე განახლდა რომ მოიჯარეებს მოთხოვნით მსგავსი პრაქტიკის გამოყენება იჯარის მოდიფიკაციების აღრიცხვისას როცა IBOR რეფორმის შედეგად იცვლება სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველი.

- პირველი ფაზის შემსუბუქების დასრულების თარიღი რისკის დადგენილი კომპონენტების ჰეჯირებისთვის რომელიც არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული: მეორე ფაზის ცვლილებები საწარმოსგან მოითხოვს პირველი ფაზის შემსუბუქებების გამოყენების პერსპექტიულად შეწყვეტას დადგენილი რისკისთვის რომელიც არაა ხელშეკრულებით განსაზღვრული, უფრო ადრე ორი შესაძლო შემთხვევიდან, როდესაც ცვლილებები ეხება დადგენილი რისკის კომპონენტს რომელიც ხელშეკრულებით არ არის დადგენილი, ან როდესაც ჰეჯირება წყდება. პირველ ფაზის ცვლილებებში რისკის კომპონენტების დასრულების თარიღი არ ყოფილა მოცემული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები სპეციფიური ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების მიღებასთან დაკავშირებით: ცვლილებების მეორე ფაზა გვაწვდის რამდენიმე დამატებით დროებით შემსუბუქებას ბასს 39-ის და ფასს 9-ს ჰეჯირებული აღრიცხვის მოთხოვნებთან დაკავშირებით იმ ჰეჯირებისთვის რომლებზეც პირდაპირ მოქმედებს IBOR რეფორმა.
- ფასს 7-ის დამატებითი განმარტებითი შენიშვნები IBOR რეფორმასთან დაკავშირებით: ცვლილებები მოითხოვს განმარტებით შენიშვნას შემდეგზე: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიულ საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე გადასვლას, მისი პროგრესი და გადასვლისას წარმოშობილი რისკები; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოებული და არაწარმოებული ინსტრუმენტების შესახებ რომელზე გადასვლაც ჯერ არ მომხდარა, ჩაშლილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის საფუძვლის მიხედვით; და (iii) IBOR რეფორმით გამოწვეული ნებისმიერი ცვლილება რისკის მართვის სტრატეგიაში.

ბასს 1-ის ცვლილებები და ფასს-ის პრაქტიკული მითითება 2: სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1 განახლდა რათა კომპანიებს მოეთხოვოთ რომ განმარტონ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია უფრო ვრცლად ვიდრე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები. ცვლილება გვაწვდის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებას. ცვლილება ასევე აზუსტებს რომ სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითია თუ, მისი გამჟღავნების გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლება გაიგონ ფინანსური ანგარიშგების სხვა არსებითი ინფორმაცია. ცვლილებაში მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები რომლებიც სავარაუდოდ არსებითია საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ბასს 1-ის ცვლილება ასევე განმარტავს რომ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს. თუმცა, თუ ასეთი ინფორმაცია წარდგენილია, მან არ უნდა დაფაროს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია. ამ ცვლილების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული მითითება 2 „არსებითობაზე მსჯელობის განხორციელება“ ასევე შეიცვალა რათა მოეცა მითითება თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებებში. კომპანია არ მოელის რომ ეს ცვლილება რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ბასს 8-ის ცვლილებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 8-ის ცვლილება აზუსტებს თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებისგან. კომპანია არ მოელის რომ ეს ცვლილება რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე

ამჟამად კომპანია აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარდა ზემოთ აღწერილისა, არ არის მოსალოდნელი რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან

‘000 ლარი	2020	2019
ამონაგები საქალაქო მარშრუტებიდან	1,658	4,167
ამონაგები საქალაქთაშორისო მარშრუტებიდან	71	123
სულ	1,729	4,290

მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ფარგლებში ავტობუსების რეგულარული რეისებისათვის გათავისუფლებულია ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან, ან სარგებლობს ფასდაკლებით პლასტიკური საშვით ერთჯერადად გადახდისთვის. ფასდაკლების ოდენობას კომპანიას უნაზღაურებს ქ. ბათუმის მერია.

2020 წელს კომპანიამ ქ. ბათუმის მერიისგან მიიღო ასეთი კომპენსაცია 636 ათასი ლარისა (2019: 1,599 ათასი ლარი).

7. სხვა შემოსავალი

‘000 ლარი	2020	2019
კერძო დაკვეთებიდან მიღებული შემოსავალი		
მგზავრთა გადაყვანიდან	140	23
შემოსავალი რეკლამიდან	104	113
კერძო დაკვეთებიდან მიღებული შემოსავალი		
პარკინგის მოწყობიდან	19	17
შემოსავალი ველოსიპედების გაქირავებიდან	3	49
სხვა	18	20
სულ	284	222

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლის შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან და შემოსავალი რეკლამიდან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღიარებულია წრფივი მეთოდით. (2019: წრფივი მეთოდით).

8. თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები

‘000 ლარი	2020	2019
მძღოლების ხელფასი	4,654	4,767
ადმინისტრაციის და სხვა ტექნიკური	1,915	2,046
პერსონალის ხელფასი		
დროებით დაქირავებულთა ხელფასი	17	237
საფოსტო კურიერების ხელფასის ხარჯი	-	115
სხვა	58	59
სულ	6,644	7,224

9. ელექტროენერგია, მოხმარებული მასალები და ტექნიკური დახმარება

‘000 ლარი	2020	2019
ავტობუსის მოვლა/პატრონობის ხარჯი	491	1,025
კომუნალური ხარჯი	62	85
პარკირების მასალის ხარჯი	58	85
კომუნიკაციის ხარჯი	32	32
ტექნიკური დახმარების ხარჯი	1	30
სხვა	1	3
სულ	645	1,260

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

‘000 ლარი	2020	2019
საკონსულტაციო ხარჯები	72	109
პერსონალის სწავლების ხარჯები	57	-
მგზავრთა გადაყვანის უფლების ხარჯი	18	34
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	10	24
საფოსტო ხარჯი	-	45
სხვა	43	91
სულ	200	303

11. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა

‘000 ლარი	2020	2019
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის დაფინანსება	7,878	8,423
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები	295	416
უსასყიდლოდ გაცემული ძირითადი საშუალებები	(103)	-
სხვა შემოსავალი	18	74
სულ	8,088	8,913

12. ფინანსური შემოსავალი

‘000 ლარი	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	113	8
დადებითი საკურსო სხვაობა, წმინდა	165	-
სულ	278	8

13. ძირითადი საშუალებები

‘000 ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	სხვა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	665	2,897	3,199	35,900	1,162	3,109	29,133	76,065
შემოსვლა	417	27	40	235	20	1	12	752
გასვლა	-	-	(2)	(212)	-	-	-	(214)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,082	2,924	3,237	35,923	1,182	3,110	29,145	76,603
შემოსვლა	30	6	2,068	11,479	112	213	110	14,018
გასვლა	-	-	(2)	(147)	(15)	-	-	(164)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,112	2,930	5,303	47,255	1,279	3,323	29,255	90,457
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	(774)	(779)	(24,475)	(593)	(2,359)	(28,987)	(57,967)
წლის ცვეთა	-	(103)	(558)	(1,501)	(135)	(185)	(31)	(2,513)
გასვლა	-	-	1	201	-	-	-	202
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	(877)	(1,336)	(25,775)	(728)	(2,544)	(29,018)	(60,278)
წლის ცვეთა	-	(102)	(640)	(1,754)	(154)	(187)	(43)	(2,880)
გასვლა	-	-	1	53	7	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	(979)	(1,975)	(27,476)	(875)	(2,731)	(29,061)	(63,158)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარს	665	2,123	2,420	11,425	569	750	146	18,098
2019 წლის 31 დეკემბერს	1,082	2,047	1,901	10,148	454	566	127	16,325
2020 წლის 31 დეკემბერს	1,112	1,951	3,328	19,779	404	592	194	27,360

2020 წელს კომპანიას მიიღო 11,477 ათასი ლარის ღირებულების 8 ახალი ელექტრო ავტობუსი და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალების ერთეულები ღირებულებით 1,760 ათასი ლარი (შენიშვნა 17).

14. მარაგები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები	1,416	1,342
საწვავი	67	25
სხვა	23	24
სულ	1,506	1,391

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	716	586
სხვა მოთხოვნები	6	2
სულ	722	588

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლისთვის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების კომპენსირებამ შეადგინა ნული ლარი (2019: 406 ათასი ლარი).

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მცირე სალარო	-	3
საბანკო ნაშთები	3,287	216
სულ	3,287	219

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფული და ფულის ეკვივალენტები თავსდება პირველ დონეში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისათვის 2020 წლის 31 დეკემბრისათვის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის ნულის ტოლია.

საბანკო ნაშთები განთავსებულია ორ წამყვან ქართულ ბანკში, საკრედიტო რეიტინგებით B+ და BB-Fitch-ის რეიტინგის სისტემით.

17. საწესდებო კაპიტალი

‘000 ლარი	საწესდებო კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	37,293
საწესდებო კაპიტალის კლება	(4)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	37,289
საწესდებო კაპიტალის ზრდა	13,237
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	50,526

2020 წელს კომპანიას მიიღო 11,477 ათასი ლარის ღირებულების 8 ახალი ელექტრო ავტობუსი და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალების ერთეულები ღირებულებით 1,760 ათასი ლარი.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს და 2019 წლის 1 იანვარს კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ ბათუმის მერია და საბოლოო მაკონტროლებელს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობა.

18. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევის ხელშეკრულებიდან წარმოადგენს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში მიღებულ თანხას. 2020 წელს კომპანიამ გამოაცხადა ტენდერი სარეკლამო კომპანიებისათვის, რომლის ფარგლებში გამარჯვებულს ეძლეოდა კომპანიის კუთვნილი სარეკლამო ფართობების გამოყენების უფლება 30 წლით, 2020 წლის აგვისტოდან მოყოლებული. ტენდერში გაიმარჯვა შპს „ალმამ“ და კომპანიას დღგ-ის ჩათვლით გადაუხადა 4,100 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 27 აგვისტოს. შემოსავალი პერიოდის განმავლობაში აღირიცხება წრფივად. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული შემოსავლის მიმდინარე და გრძელვადიანი ნაწილი შეადგენს 116 ათასი ლარს და 3,319 ათასი ლარს, შესაბამისად.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	434	368
გადასახდელი ხელფასები	9	127
სულ	443	495

20. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულება არის ის ღირებულება, რასაც შეფასების მომენტში ბაზრის მონაწილეები მიიღებდნენ აქტივის გაყიდვისგან ან ვალდებულების გადაცემის სანაცვლოდ კანონიერი გარიგების ფარგლებში. კომპანიის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია, არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასებითი მეთოდოლოგია. თუმცა, საბაზრო ფასის დადგენისას შეფასებითი გადაწყვეტილება საჭიროა საბაზრო მონაცემის განმარტებისთვის. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს და ეკონომიკური გარემოებები ზღუდავს აქტივობებს ფინანსურ ბაზრებზე. ბაზრის მონაცემები შესაძლოა მოძველებული იყოს, იმეორებდეს საგანგებო მდგომარეობის დროს განხორციელებული გარიგების ფასებს და ამიტომ სწორად არ ასახავდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დადგენისას გამოიყენა ბაზარზე ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაცია.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება მომავალში სავარაუდოდ მისაღები ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. სავაჭრომომოთხვენებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები თითქმის მათი სამართლიანი ღირებულებების ტოლია მოკლე დაფარვის ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ვადიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება ხორციელდება მომავალში სავარაუდო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი რეალური ღირებულებები მიახლოებითია.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულების დასადგენად გამოყენება 1-ლი დონის საზომი მეთოდი, ხოლო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება დადგინდა მე-3 დონის მეთოდით.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია შეინარჩუნოს იმდენი კაპიტალი, რაც საკმარისი იქნება კომპანიის სტრატეგიული და საოპერაციო საქმიანობის შესასრულებლად. კომპანიის კაპიტალი ძირითადად შედგება ქ. ბათუმის მერიის შენატანებისაგან. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა სესხები და მთლიანად კაპიტალით ფინანსდებოდა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

**შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	3,287	216
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	722	588
სულ ფინანსური აქტივები	4,009	804
‘000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	443	495
სულ ფინანსური ვალდებულებები	443	495

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან ძირითადი რისკები უკავშირდება უცხოურ ვალუტას, საპროცენტო განაკვეთს, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც კომპანია სარგებლობს. კომპანიის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკზე დამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აღენიშნებოდა უცხოურ ვალუტაში აღრიცხული არსებითი სიდიდის ფინანსური აქტივი ან ვალდებულება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რაც უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკი არ მოქმედებს, რადგან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს მიღებული სესხები.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების შეფასების სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ კომპანიის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა იმის დაშვებაცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი მთელი კომპანიის მასშტაბით იმართება. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელი ან კონტრაქტორი აღმოჩნდება გადახდისუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც კომპანიისთვის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს. ქვემოთ მოყვანილია კომპანიის ძირითადი საკრედიტო დანახარჯების კრიტერიუმები:

კომპანიის შემოსავლების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მოსალოდნელი ანაზღაურება ქალაქ ბათუმის მერიისგან. სხვა სავაჭრო მოთხოვნებს შორისაა კლიენტებისაგან მისაღები სახელშეკრულებო თანხები და მოიცავს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურებას. კომპანია მიმართავს ყველა არსებულ საშუალებას მისაღები რაოდენობების ამოსაღებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულების შესრულებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის არა წარმოებული საკონტრაქტო ვალდებულებების დაფარვის ნარჩენი ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილში ნაჩვენებია როგორც ძირითადი თანხის, აგრეთვე პროცენტის ფულადი ნაკადები.

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	ჯამი	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები	2-12 თვე	1-2 წელი
2020 წლის 31 დეკემბერი						
უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	443	443	87	-	356	-
	443	443	87	-	356	-
2019 წლის 31 დეკემბერი						
უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	459	495	94	-	401	-
	443	443	87	-	356	-

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს, პარტნიორებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები შეიძლება ხორციელდებოდეს სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

კომპანიას გააჩნია საქმიანი ურთიერთობა რიგ ორგანიზაციასთან, რომლებიც მთლიანად ან ერთობლივად კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ ან არის მისი მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანია იყენებს ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“-ს გათვალისწინების მუხლს, რომელიც უფლებას იძლევა წარადგინოს დაკავშირებული მხარეების შესახებ შემოკლებული განმარტებითი შენიშვნები სახელმწიფოსთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან განხორციელებულ ოპერაციებთან მიმართებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებებისგან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები:

ქვემოთ მოცემულია ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული პერსონალის ხარჯები:

‘000 ლარი	2019	2018
ხელფასი	145	141
სხვა სარგებელი	-	9
	145	150

ხელმძღვანელობისათვის გადახდილი კომპენსაცია გამოიხატებოდა მოკლევადიან ბენეფიტებში.

კომპანიის ოპერაციები მფლობელთან მოცემულია ქვემოთ:

‘000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის		ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2020	2019	2020	2019
მიღებული დაფინანსება	7,879	8,423	-	-
შემოსავალი შეღავათით მოსარგებლე მგზავრთა გადაყვანიდან	636	1,599	67	67
უსასყიდლოთ მიღებული ძირითადი საშუალებები	294	432	-	-
უსასყიდლოთ გადაცემული ძირითადი საშუალებები	103	-	-	-
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები	5	-	-	-
	1,038	2,031	67	67

22. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

პირობითი ვალდებულებები

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა დასაფარი არსებითი სიდიდის პირობითი ვალდებულებები.

სამართლებრივი დავები

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა მრავალგვარი განმარტებებისა და ცვლილებების საფუძველს. ამასთან, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობის კომპანიის ხელმძღვანელობისეული განმარტება შესაძლოა განსხვავდებოდეს ეს საგადასახადო უწყებების განმარტებებისაგან, უწყებებმა შესაძლოა სადაოდ გახადონ ტრანსაქციები, რის შედეგადაც კომპანიას შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ განხორციელებულა რაიმე დარეზერვება. 2020 და 2019 წლები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მხრიდან შემოწმებისათვის.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19 პანდემიის გამო კომპანიას შეწყვეტილი ქონდა მგზავრთა გადაყვანა 2021 წლის იანვრის თვეში. 2021 წლის 1 თებერვლიდან კომპანიამ განაგრძო საქმიანობა.

2021 წლის 31 მარტს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულებაში შევიდა ცვლილება, შპს ალმას მიერ 2020 წლის 27 აგვისტოს შეძენილი 30 წლიანი რეკლამის განთავსების უფლების ვადა გაიზარდა 31.5 წლამდე (შენიშვნა 18).

24. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები. პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია შეინარჩუნებს უწყვეტი საწარმოს პრინციპს და გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში მონაცემები წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში (“GEL”), თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აქტივების ისტორიული ღირებულებით. ჩვეულებრივ, ისტორიული ღირებულება ეფუძნება აქტივში გადახდილ სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს ძირითად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასობით ლარამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები და შემოსავლები მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას არ ითვალისწინებს რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რაც შესაბამისად უნდა იყოს განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ქვემოთ მოყვანილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები:

ამონაგები

კომპანია ეწევა სატრანსპორტო მომსახურებას ავტობუსებით და ახორციელებს პარკინგის ადგილების ადმინისტრირებას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

ყველა სახის მომსახურების ვალდებულების შესრულების აღიარება კომპანიის მიერ ხდება დროის გარკვეულ მომენტში, გარდა პარკირების ადმინისტრირების მომსახურებისა, რომელსაც კომპანია აღიარებს მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი პარკირების საფასურის გარკვეული პერიოდის შესაბამისად,

ამონაგები აღიარებული წმინდა ოდენობით, დღგ-ს გამოკლებით. ამონაგები აღირიცხება მიღებული/მისაღები ანაზღაურების საბაზრო ღირებულებით.

საიჯარო შემოსავალი

ქვემოთ აღწერილია კომპანიის პოლიტიკა საოპერაციო იჯარებიდან მიღებული ამონაგების აღიარების შესახებ.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროგნოზო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იჯარა

იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, კომპანია ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვით ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და

პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, კომპანია იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

იჯარის ვალდებულება წარმოდგენილია, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ცალკე მუხლი.

იჯარის ვალდებულება შემდგომ პერიოდებში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც კომპანიას ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები გამოყენების უფლების მატარებელ აქტივთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახულია, რომ კომპანია მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის

განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ მუხლში.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი წესით.

პრაქტიკული შედეგათვის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. კომპანიას ეს პრაქტიკული შედეგათი არ გამოუყენებია.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. რეალური (სამართლიანი) ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

ლარში	წლის საშუალო კურსი		ანგარიშგების თარიღში	
	2020	2019	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677
ევრო	3.5513	3.1553	4.0233	3.2095

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების ხარჯები, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებას მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, აღირიცხება ამ აქტივების ხარჯების ნაწილის სახით მანამ, სანამ ეს აქტივები არ იქნება არსებითად მზად გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

ყველა სხვა სასესხო ხარჯი აღიარდება მათი გაწევის შესაბამისი პერიოდის მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით, როდესაც მანამდე მოქმედი მოდელით დაბეგვრამდე

მოგებას 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, მოგება კომპანიაში რჩებო და თუ გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ის კომპანიასაც მიემართება. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

გარდა განაწილებული მოგების გადასახადისა, სხვა ზემოთჩამოთვლილ კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში აისახება მუხლში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი რეგულაციის შედეგად კომპანია აღარ არიცხავს გადასახადს მიღებულ მოგებას და მოგების გადასახადს მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში იხდის.

სამთავრობო გრანტი და გადავადებული შემოსავალი

აქტივებთან დაკავშირებული სამთავრობო გრანტები, მათ შორის, არაფულადი გრანტები საბაზრო ღირებულებით წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის „ძირითადი საშუალებები და გადავადებული შემოსავალი“ ნაწილში. სამთავრობო გრანტი აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშში სისტემატიური სიხშირით იმავე პერიოდებში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით ასანაზღაურებელი ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯები, არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებების აქტივის თვითღირებულება დგინდება (ა) მისი შესასყიდი ღირებულებით, რომლიც გათვალისწინებულია იმპორტირების ხარჯები და შესყიდვასთან დაკავშირებული არა-დაბრუნებად გადასახადები, გაქვითულია სავაჭრო ფასდაკლებები და შეღავათები; (ბ) ნებისმიერი ხარჯი, რაც გაიწევა აქტივის ისეთი ფუნქციონირებისათვის საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რაც კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ არის გამოიწვეული; (გ) იმ ხარჯების პირველადი შეფასება, რაც საჭირო იქნება საგნის დემონტაჟისა და გამოყოფისათვის და იმ ტერიტორიის აღსადგენად, სადაც ნივთია განთავსებული; (დ) კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებები ნივთის შეძენასა და ისეთ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არაა დაკავშირებული მარაგების წარმოებასთან; და (ე) განსაკუთრებული აქტივის შემთხვევაში, სასესხო ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზებულია კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკის შესაბამისად.

შედეგად კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაწეულ შეკეთებასა და ჩანაცვლებაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებენ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდიან მის წარმადობას. ისეთი სარემონტო დანახარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის აღნიშნულ კრიტერიუმს, აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაწეული ხარჯების სახით.

ძირითადი საშუალებების ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	წლები
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი	5
სხვა	5

მიწის ნაკვეთზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს ძირითადი საშუალების ერთეულის ღირებულებას გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების ამ ერთეულის რეალიზაციით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი რომ იყოს იმ ასაკისა და მდგომარეობის, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მოხმარების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი. წინა შეფასებებში განხორციელებული ცვლილებები აისახება შეფასების შესაბამის წესებში სამომავლო გამოყენებისათვის.

მოგება ან ზარალი მიღებული ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალების მშენებლობასთან დაკავშირებულ პირდაპირ და ცვლად დანახარჯებს. მიმდინარე მშენებლობას ცვეთის ხარჯო არ ერიცხება. ისევე, როგორც ძირითადი საშუალებების სხვა ნივთების შემთხვევაში, მიმდინარე მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც ნივთი გახდება გამოსაყენებლად ვარგისი, ანუ როდესაც ისინი მიაღწევენ ხელმძღვანელობის მიზნებისათვის ასამუშავებლად საჭირო მდებარეობასა და მდგომარეობას.

აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება გაუფასურების ზარალის მასშტაბები (არსებობის შემთხვევაში). თუ ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების შეფასება შეუძლებელია, კომპანია აფასებს იმ შემოსავლის მომტანი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი განეკუთვნება. თუ ღირებულების განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კომპანიის აქტივები აგრეთვე ნაწილდება შემოსავლის მომტან ინდივიდუალურ ერთეულებზე. სხვა შემთხვევაში ხდება მათი მიკუთვნება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულის უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება გადასახადამდე

დისკონტირების განაკვეთით, რომელშიც ასახულია ფულის დროში ღირებულების ბაზრისეული შეფასება და აქტივისთვის დამახასიათებელი ის რისკები, რომელთა მიხედვით მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი არ კორექტირებულა.

თუ შეფასებით დადგინდა, რომ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან შემოსავ ლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის აღდგენით ღირებულებამდე მცირდება. გაუფასურების დანაკარგი დაუყოვნებლივ აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურების დანაკარგის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მის კორექტირებულ საპროგნოზო აღდგენით ღირებულებამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ისეთ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა დადგენილი ამ აქტივისთვის წინა წლებში მასზე (ან შემოსავლის მომტან ერთეულზე) გაუფასურების დანაკარგის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

გაუფასურების დანაკარგის გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ტერმინები

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების და საფარად გაანგარიშების დღე ს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, ან თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებისას გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდაამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ლი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ლი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1- ლ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარესაბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდადამინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას ხდება მათი შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (გ) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (დ) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნებ ახდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა- დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებების შეფასების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ნებისმიერი ყიდვა და გაყიდვა ფინანსური აქტივებისა, რომელთა მოწოდებისთვის დადგენილია სარეგულაციო და საბაზრო ვადები („რეგულარული“ ყიდვა-გაყიდვა), აღირიცხება გარიგების თარიღის მიხედვით, რა დროსაც კომპანია იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა სახის ნასყიდობა აღიარდება მას შემდეგ, რაც პირი ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებისა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობასა ბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს წვრილ ფულს, საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულს, ფული გამოყენების შეზღუდვებით, ფული გზაში, დეპოზიტები, რომელთა დაუყოვნებლივი გამოთხოვა შესაძლებელია ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთი, აღირიცხება ნომინალური ოდენობით. მომავალში ამოღების გარეშე დარჩენილი თანხების შესაბამისი რეზერვი აისახება მოგება-ზარალში, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული რეზერვი გამოითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულებას შორის სხვაობიდან, რაც დისკონტირდება პირველადი აღიარების დროს მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (ECL) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება ან ზარალში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგის ღირებულება განისაზღვრება დაანგარიშებული საშუალო ფასით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გაქვითულია დასრულებისა და გაყიდვის საანგარიშო ხარჯები.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში განიმარტება, თუ სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის მფლობელის მიერ. ცვლილებები კომპანიის განცხადებულ საწესდებო კაპიტალში შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

განცხადებული საწესდებო კაპიტალის მეტობა/(ნაკლებობა) ფაქტიური შენატანების ღირებულებასთან, აღრიცხულია როგორც გადახდილი/(გადაუხდელი) კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდი შესაბამისად აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.



2020 წლის მმართველობითი ანგარიშგება

შპს “ბათუმის ავტოტრანსპორტი“

საზოგადოება და მისი მართვა

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საზოგადოება არის იურიდიული პირი, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს მოქმედი კანონებით და საზოგადოების წესდებით. კომპანიის პარტნიორი არის საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 100%-იანი წილის მესაკუთრე– ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახით.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ძირითად საქმიანობას შეადგენს ავტოტრანსპორტით მგზავრთა რეგულარული გადაყვანა დადგენილი მარშრუტებით, საგზაო მოძრაობის რეგულირებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ–ტექნიკური ღონისძიებების უზრუნველყოფა, ველობილიკების მოწყობა, პარკირების სერვისის ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა, საგზაო ღონისძიებების განხორციელება, შუქნიშნების მუშაობის კონტროლი, ექსპლუატაცია, მოვლა–პატრონობა.

კომპანიის ეკონომიკური საქმიანობა რეგულირებულია ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ამასთან ექვსი მარშრუტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვს სოფელში. რეგულირებული ეკონომიკური საქმიანობის ფასები დადგენილია ბათუმის მუნიციპალური საკრებულოს გადაწყვეტილებით.

შემოსავალი ძირითადად გენერირებულია მგზავრთა მიერ გადახდილი მგზავრობის საფასურიდან, პარკირებიდან მიღებულ შემოსავალიდან, ასევე რეკლამიდან მიღებული შემოსავალიდან და სხვა შემოსავლებიდან.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიზანს წარმოადგენს შეუფერხებელი და ეფექტური მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი, პარკირების ეფექტური სისტემის შექმნა. ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებული სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი. კომპანიის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო ქსელის მიერ მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, სატრანსპორტო ქსელის ხარჯების ეფექტურობის გაზრდა, მდგრადი და ეკოლოგიური მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირებისა და მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

ასევე კომპანიის ერთ-ერთ საქმიანობას შეადგენს ქალაქში ველოსისტემის განვითარება, რომლის მიზანია გადაადგილების მდგრადი, ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა, ადამიანებზე, ჯანმრთელობასა და გარემოზე ტრანსპორტის მავნე ზემოქმედების შემცირება, ჯანსაღი ცხოვრების წესების დამკვიდრება, ხმაურის , სითბური აირების ემისიებისა და ენერგო მოხმარების შემცირება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რაც გამოიხატება მგზავრთა კომფორტულ, დროულ და უსაფრთხო გადაადგილებაში. საწარმოს შემდგომი განვითარების მიზნით 2020 წელს ევროპის განვითარების ბანკის დაფინანსებით , ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური მხარდაჭერით მიღებულია 8 ელექტრო თანამედროვე სისტემის ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი, რაც უფრო მიმზიდველს და კომფორტულს გახდის ქ. ბათუმის მაცხოვრებლებისა და ტურისტების მომსახურეობას.

მართვის სტრუქტურა

კომპანიის საქმიანობას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და ტექნიკური სამსახური. საშტატო განრიგი განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. 2020 წელს დამტკიცებული საშტატო განრიგით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 551 კაცს. 2020 წელს კომპანიის სტრუქტურა განისაზღვრებოდა შემდეგი სამსახურებისაგან: ადმინისტრაცია, შრომის და ტექნიკური უსაფრთხოების სამსახური, ფინანსური განყოფილება, ოპერაციული სამსახური, ტექნიკური სამსახური, ქონების და მარაგების მართვის სამსახური და დაცვის სამსახური მათ დაქვემდებარებაში მყოფი განყოფილებებით.

მგზავრთა სტატისტიკური მაჩვენებლების კონტროლი და მონიტორინგი

მოსახლეობის სატრანსპორტო ძვრადობა დასახლებული პუნქტების საზღვრებში უზრუნველყოფს მგზავრთა ნაკადების ფორმირებას. ფორმირებულ მგზავრთა ნაკადებს აქვს სხვადასხვა სიმძლავრე და მიმართულება. მგზავრთა გადაყვანის რაციონალური ორგანიზაცია და მოძრავი შემადგენლობის ეფექტური გამოყენება შეუძლებელია სატრანსპორტო ქსელში მგზავრთა ნაკადის სისტემური შესწავლის გარეშე, ეს გვადლევს საშუალებას შევისწავლოთ მათი განაწილება დროში მთელი მარშრუტის გასწვრივ. ასევე გვეძლევა საშუალება განვსაზღვროთ საჭირო რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებები სხვადასხვა მიმართულებით. სისტემატურად ხორციელდება მგზავრთა ნაკადის დათვლა ყველა სამარშრუტო ხაზზე. ასევე სამარშრუტო ხაზების სისტემატური კონტროლი და მონიტორინგი დღის სხვადასხვა მონაკვეთებში. რის მონაცემებზე დაყრდნობით უკეთ ხდება სამარშრუტო ხაზების დაგეგმვა.

2019 წელს გადაყვანილია 13,825 ათასი მგზავრი. მათ შორის უფასო და 50% ფასდაკლებით იმგზავრა 6,900 ათასმა მგზავრმა. 2020 წელს 5,568 ათასი მგზავრი. მათ შორის უფასო და 50% ფასდაკლებით იმგზავრა 2,703 ათასმა მგზავრმა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მიმოხილვა

კომპანიის შემოსავალი მგზავრთა გადაყვანიდან 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შეადგენდა 1,729 ათას ლარს, მაშინ როცა 2019 წლის 31 დეკემბრისათვის 4,290 ათას ლარს.

2020 წელს 31 დეკემბრისათვის სხვა დანარჩენი შემოსავალი: სუფსიდია, პარკირებიდან შემოსავალი, რეკლამიდან შემოსავალი, ველო გაქირავებიდან შემოსავალი და სხვა შემოსავალი განისაზღვრა 9,083 ლარით. 2019 წელს 31 დეკემბრისათვის სხვა დანარჩენი შემოსავალი: სუფსიდია, პარკირებიდან შემოსავალი, რეკლამიდან შემოსავალი, ველო გაქირავებიდან შემოსავალი და სხვა შემოსავალი განისაზღვრა 10,124 ათასი ლარით.

კომპანიის ზარალმა 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შეადგინა 714 ათასი ლარი. 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის კომპანიის ზარალმა შეადგინა 1,241 ათასი ლარი.

პანდემიამ ძალიან დიდი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მგზავრთა ნაკადზე და საწარმოს შემოსავალზე. 2019 წელს 207,805 მგზავრით ნაკლები მგზავრი იქნა გადაყვანილი, ვიდრე 2018 წელს, ხოლო 2020 წელს ქვეყანაში გამოცხადებული პანდემიის დროს კი საწარმოს მიერ 8,256,605 მგზავრით ნაკლებია გადაყვანილი ვიდრე 2019 წელს.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

კომპანია გარემოს დაცვაზე ზრუნვას და ნარჩენების მართვას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოს გარემოს დაცვის საქმიანობა დაფუძნებულია საქართველოს კანონებზე: „გარემოს დაცვის შესახებ“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის და წყლის შესახებ“. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 იანვრის №17 დადგენილების „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების , სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულების მიზნით საწარმოში მომზადდა და შეთანხმებულია შესაბამის გარემოსდაცვით სამსახურებთან საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ჰერდამაბინძურებელი სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. სისტემატურად ტარდება შრომის უსაფრთხოების დაცვაში ტრენინგები მექანიკოსებთან და მძღოლებთან. შემუშავდა საწარმოს რისკების შეფასების კომისია.

ყოველდღიურად მოწმდება ადმინისტრაციულ და საწარმოს სხვა დანარჩენ შენობებში სახანძრო უსაფრთხოება.

სოციალური პასუხისმგებლობა

მგზავრთა სოციალური კეთილდღეობის გასაძლიერებლად ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან ანაზღაურდება გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთა მგზავრობის საფასურის ოდენობა :

1. უფასო მგზავრობა

- ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები;
- ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები;
- შშმ პირები;
- მოსწავლეები.

2. 50% თანადაფინანსება

- მასწავლებლები;
- სტუდენტები
- იძულებით გადაადგილებული პირები ;
- ასაკით პენსიონერები;
- საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება არ აღემატება თვეში 625 ლარს.

რისკების შეფასება

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როცა კომპანია დადგენილ ვადებში ყველა ვალდებულებას ვერ შეასრულებს. როგორებიცაა საოპერაციო ვალდებულებების დაფინანსება და სხვა ვალდებულებები. რისკის შესამცირებლად, კომპანია იცავს ფულადი ნაკადების მართვის დეტალურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს საკმარისი ფულადი რესურსების მოძიებას და შენარჩუნებას არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვისათვის. ხარჯების დაფარვა ხდება მათი პრიორიტეტულობის მიხედვით შემდეგი წესით:

- სახელმწიფოს მიმართ არსებული ვალდებულებები, როგორც ამას ითვალისწინებს ჯგუფის პოლიტიკა.
- თანამშრომელთა ხელფასები და ანაზღაურება.
- საჭირო ოპერაციების ხარჯები. (კომუნალური ხარჯები, კრედიტორები და სხვა).

ამგვარად ხელმძღვანელობა ცდილობს დროულად გამოავლინოს რისკი და მოახდინოს მასზე რეაგირება, რათა უზრუნველყოს მინიმალური ზიანის თავიდან აცილება და კომპანიის ეფექტური ფუნქციონირება.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების შესამცირებლად კომპანიაში ჩართულია ტექნიკური განყოფილება, რომელიც მუდმივად ამოწმებს სატრანსპორტო საშუალებების მდგომარეობას, ხოლო შრომის უსაფრთხოების სამსახური ამოწმებს მძღოლთა და დასაქმებულ პერსონალთა ჯანმრთელობის მდგომარეობას დაატარებს უსაფრთხოების კონტროლს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიერ ხდება. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელი ან კონტრაქტორი აღმოჩნდება გადახდის უუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც კომპანიისთვის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს. კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურეობით მგზავრთა გადაყვანის მომსახურეობიდან მიღებული თანხები, პარკირებიდან მიღებული შემოსავლები, ბათუმის მერიიდან მიღებული სუფსიდია და სხვა შემოსავლები. სავაჭრო მოთხოვნებს შორის არის მომწოდებლისგან მისაღები სახელშეკრულებო თანხები. ხელშეკრულების დადებისას ყველა კონტრაქტორი ინდივიდუალურად ფასდება მისი გადახდისუნარიანობის მიხედვით და კომპანიის რისკის შესამცირებლად ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადამდე შეწყვეტის პუნქტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფასებთან დაკავშირებული რისკი, როგორიცაა უცხოური ვალუტის რისკი, ინფლაცია რომელიც გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებზე რეგულირებული ეკონომიკური ინდუსტრიის ფარგლებში დადგენილი განაკვეთი. კომპანიას აქვს არარეზიდენტი პირის “SMOOV”-ის დავალიანება 2019 წელს 31 დეკემბრის მდგომარეობით 47 ათასი ლარი და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 73 ათასი ლარი.

კვლევა

კომპანიას არ ჩატარებია რაიმე სახის კვლევა 2020 და 2019 წლებში.